დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 52 08
25/12/2018

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის, და 36-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 დეკემბრის N 07/5235 წერილის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ იფნარში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ 82.08.42.303; დაზუსტებული ფართობი 44864,00 კვ.მ. და საიჯარო ქირად განისაზღვროს 377 (სამასსამოცდაჩვიდმეტი) ლარი წელიწადში.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე